პროფესოს ალფრედ თომატისის თერაპიის გავლენა სასწავლო უნარების განვითარებაზე

გიორგი ნინიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პედაგოგი

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა განახორციელა. ნაშრომი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სკოლის ასაკის ბავშვების სასწავლო უნარების გაუმჯობესებას.

ნაშრომში განხილულია თომატისის თერაპიის გავლენა და ურთიერთმიმართება მოსწავლეების სასწავლო უნარების განვითარებაზე, ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის 5 შშმ მოსწავლის მაგალითზე. კვლევის მიზანი იყო დაედგენა, აუმჯობესებს თუ არა თომატისის თერაპია მოსწავლეებში კოგნიტურ და მოტორულ უნარებს. კვლევაში მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 11 დან 17 მდე.

ცვლადების საკვლევად გამოყენებულ იქნა:

- მასწავლებლების გამოკითხვა.
- მასწავლებლის შეფასების ჟურნალზე დაკვირვება.
- მშობლების გამოკითხვა.
- დღის ცენტრის აღმზრდელების გამოკითხვა .
- თომატისის თერაპიის შეფასების შკალა.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, თომატისის მეთოდის გამოყენების ეფექტურობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან, სასწავლო პროცესში. კვლევის შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები თომატისის მეთოდსა და ცალკეულ ცვლადებს შორის, რომელიც ერთიანობაში გავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო უნარებზე. კვლევის მიხედვით თომატისის თერაპია შეგვიძლია პრედიქტორად მივიჩნიოთ.

საკვანძო სიტყვები: თომატისის თერაპია, სასწავლო უნარები